



# საქრებულო

რედაქცია

კანტონი

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილის აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი შთაბრძნობები.  
რედაქცია ღიაა: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფინანსის სახლი.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადებას ფასი: სტრიქონი პეტრიტის პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 ს. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორჯერ. საგაზეთო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.  
კანტონი ღიაა: დილის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

## განცხადება

ლის 14 ოქტომბრიდან სპირტის რეგულაციის ქარხანა ქ. ქუთაისში.  
**დიმიტრი ბეგლარის მე ადანაიასი**  
განსარიის ქუჩიდან გადატანილია ალექსანდრეს ქუჩაზე თველო-რაძის სახლებში. 10-6

## განცხადება

**ყიდება ბენზინი.**  
ველთ შეუძლიათ მიმართონ ქუთაისის ქალაქის გამგეობას ყოველ-ღვე დილის 9-2 საათამდე.  
3-3. გამგეობა.

## ქალაქის თეატრი.

სამშაბათს 11 ნოემბერს გაიმართება დიდი  
**სალიშენარსურო საღამო**  
მონაწილეობას მიიღებენ თბილისელი და ადგილობრივი საუკეთესო ძალები. 2-უფ-1

## გერმანიისა და გვენი სო-ციალ-დემოკრატები

გერმანიის რევოლუციის პირველ დღეებში სახალხო უნივერსიტეტის ლექტორების ერთგვარ კრებაზე სოციალ-დემოკრატების ერთმა ბელადმა მოგვხარა: გერმანიაში მემამულეებისთვის მამულები ჩამოუტოვებიათ. გვი გამოვთქვი: მიუფე: პირიქით, გაზეთებში სულ წინააღმდეგი იწერებოდა.

დამარწმუნა. დაუფერე: ვიფიქრე, იქნება ამ ამბის წყითხვა გამოჩინა-თქო.

გავიდა ხანი. უყვე მოხდა გერმანიის რევოლუციის ლიკვიდაცია. ჩვენმა მენშევიკებმა კარლ-მარქსის სამშობლო მოინახულეს და შინ სასოწარკვეთილი დაბრუნდნენ.

და თავისი სულიერი მდგომარეობის შესახებ „ერთობის“ ფურცლებზე გულწრფელად მოგვითხრობენ.

გერმანიის მემამულეებს სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც დამფუძნებელ კრებაში მცირე უმრავლესობა აქვთ, უპირველესად პოლიტიკურ ტაქტიკას უწუწებენ.

სჯობდა, მთავრობაში არასოციალისტები არ შეეშავთ, ამბობენ, და თავისი აზრის დასახლებულად ნოე ქორდანაის იმოწმებენ.

ნოე ქორდანია იმ აზრის იყო, რომ რუსეთში სოციალისტური ბლოკის მთავრობა შედგენილიყო: კერძო-სოციალ-დემოკრატები და რუსეთი დაემხო.

მეორე მხრით ჩვენ ვხედავთ, რომ კოალიციურმა მთავრობამ გერმანია არა თუ არ დაანგრია, არამედ გაამთელა და გააძაგრა და სემოქალაქოში თავიდან აიცილა.

მართალია, სოციალ-დემოკრატის უკიდურესმა ფრთამ—სპარტაკელებმა—ბატონობის ხელში ჩაგდება მოინდომა, მაგრამ მცირე ბრძოლის შემდეგ აღივავა.

ჩვენი მენშევიკები მაინც კიდევ იმედს არ ჰკარგავენ და ფიქრობენ, ბოლოს და ბოლოს გერმანიის მეორე ფრთა—ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობის—ჩაიგდებენ ხელში დიქტატორასო.

მაგრამ არ მალევენ, რომ კარლ-კაუტსკი, რომელიც „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების“ იდეოლოგად შეიძლება ჩაითვალოს, თითქმის მარტოდ დარჩა და ავსტრიაში გადასახლებლად ვაუხდა საქმე.

საინტერესოა, რომ ბერლინში მას ქართული მენშევიკი მოველინა ნუგეშის-მცემლად.

მაგრამ ქართველი მენშევიკი მართალი არ არის, როცა კაუტსკი ქართველი მენშევიკების ტაქტიკას სავსებით იზარებსო.

„ერთობის“ უკანასკნელ ნუმერებში კაუტსკის რუსულიდან გადმოთარგმნილი წერილი წავიკითხეთ, რომელიც მოწამობს, რომ კაუტსკი სულ სხვაგვარად ფიქრობს.

ჯერ ერთი, კაუტსკის არა ერთ-ერთ უთქვამს, უსასყიდლოდ ქონების ჩამორთმევა—დიდი შეცდომააო. ამ მხრით კაუტსკისა და ჩვენ მენშევიკებს შორის უფსკრულია.

მეორე, კაუტსკის გაუზგოხებულობა მამულეების ჩამორთმევა დიდ ცოდვად მიიჩნია, ვინაიდან მისი აზრით გაუზგოხებულობა სამიწისმოქმედო კულტურა დიდ მამულზე უფროა შესაძლებელი, ვიდრე პატარაზე.

მესამე, კაუტსკის დიდ შეცდომადღვე მიიჩნია, როცა მუშათა ერთი ნაწილი მშრომელ მასსაზე ამაღლებდა და მეტ უფლებას მიითვისებდა.

ამიტომ ის უარყოფს რომელიმე ჯგუფის მიერ შრომის გადამეტებულობის მითვისებასა და წითელი გვარდის შედგენას.  
ჩვენში კი ფოთის ნავსადგურის

და რკინის გზის მტკიცებულ მუშებს პრივილეგიური ხელფასი აქვთ.

იმავე დროს წითელი გვარდია—დემოკრატიის ერთს პატარა შეიარაღებულსა და უპირატესობით მოსილ ჯგუფს წარმოადგენს.

დასასრულ კაუტსკი ამბობს: როგორც ქირის მომატების, აგრეთვე რომელიმე წარმოების განსაზოვადების მხრით ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, რომ ამგვარი ექსპერიმენტებით მუშების მდგომარეობა არ გაუარესდეს და სოციალიზმის იდეას სახელი არ გაუტყდესო.

მაგრამ ეს ხომ უკან დახევია! აქამდის გვაწმუნებდნენ: სოციალიზმის განხორციელება შრომის ერთი ათასად გაანაყოფიერებს და მუშებს ბედნიერებას მიანიჭებსო.

ახლა კი სოციალიზმის მხკვანი წარმომადგენელი ექვს შეუპყრია: ალარა სწამს, რომ სოციალიზმი ყოველივე გაქვირებისა და ბოროტების პანაცეაა და, პირიქით სოციალიზმის განხორციელებისაგან მაშვრალთა მდგომარეობის გაუარესებას მოგლის!

მაშ ჩვენს მენშევიკებს გერმანიაში მომხრე აღორავინა ჰყავსთ და შეფერისთ სთქვან: „ალარ ვიცი, ვის მივწვდო, სიმედო ვინ არის?!“

დაიღ! ჩვენებური, მენშევიკური სისტემა, რომელიც ანარქოსინდიკატურისა და პარტიული სახელმწიფოს შეუსაბამო შეერთებას წარმოადგენს, ეს უწონასწორო სოციალური სისტემა—განმარტოებული დარჩა, მას, როგორც არც ბოლშევიზმს, გეროპისა და ამერიკის არცერთი განათლებული სახელმწიფო არ იზიარებს.

მეორე მხრით, ხსენებულმა სისტემამ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურ-ფინანსიურ კატასტროფის კარამდის მიიყვანა.  
ნუ თუ ვერა ხედავენ?  
**ვასილ წერეთელი.**

**პრესა.**  
ვახ. „საქართველო“ ეგება დეზერტირობის საკითხს ჩვენში და ამბობს:—

დეზერტირობის საკითხი დღეს მეტად მწვავედ სდგას.

თამაზად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ვერც ერთი მობოლიზაცია წესიერად ვერ ჩატარდა: ვერც სახელმწიფო უწყებამ და ვერც ადმინისტრაციულმა აპარატმა ვერ გამოიჩინეს საკმაო ენერჯია, რომ ცხოვრებაში გაეტარებინათ დამფუძნებელი კრების დეკრეტი ახალგა-

ზრდათა ჯარში გაწვევის შესახებ.

ოფიციალური ცნობებით სამხედრო ბეგარის მოსახლეობა გაწვეულთა 50 პროც. არ გამოცხადებულა და იმთავანაც, ვინც უკვე გამოცხადდა ძალიან საგრძნობელი ნაწილი დეზერტირებათ გამოხდარან. ეს ვარემოება ძალიან დიდი ყურადღების ღირსია!

თუ ხალხი არ ცხადდება მოვალეობის აღსასრულებლად, სჩანს იმდენათ მოდუნებული ყოფილა ჩვენი ადმინისტრაციული აპარატი, რომ არ ძალუძს იძულებით მოიყვანოს იგი.

ხოლო თუ სამსასურლიან გარბიან, აშკარაა, რომ სამხედრო უწყებებს ვერ დაუმყარებია ისეთი დისციპლინა, რომელიც თვით შეკრავდეს ჯარისკაცობის სამხედრო სამსახურში... მდგომარეობა ორივე მხრით უაღრესად საშუალოა. ახალგაზრდობა მოვალეა თავის სამშობლოს წინაშე მოიხადოს ის ვალი, რომელიც მას აწევს. და ვინ ურჩობს თავის სამშობლოს წინაშე, მის მიმართ არავითარ ლმობიერებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სამწუხაროთ, მთავრობამ დღემდის ვერ გამოიყენა ის კანონი, რომელიც დიდი ხანია, რაც მიღებულია და რომლის ძალით, უკეთუ გაწვეული ჯარში არ გამოცხადდა სასტიკათ უნდა იქნეს დასჯილი.

ჯერ ჯერობით, არამც თუ არავინ არ დასჯილა, არამედ დეზერტირთა უმეტესობა თავისუფლად დასაქმობს და ძალიან ბევრს თავი შეუარებული აქვთ მთავრობის, თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებშიც.

დეზერტირობა მეტად საშიშ მდგომარეობას უმხადებს რესპუბლიკის და ბოლშევიკების უკანასკნელმა მოძრაობამაც გვაჩვენა, რომ ამ გამოსვლებში მონაწილეობის მიმდებთა უმთავრესი კონტინგენტი სწორედ ამ დეზერტირობისაგან შესდგებოდა.

ამ უმად გაზეთებში გამოქვეყნებულია მთავრობის ბრძანება, რომ დეზერტირების წინააღმდეგ მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები...

ჩვენ სრული კმაყოფილებით ვხედავთ ამ ბრძანებას და მოუწოდებთ ყველას, რომ საზოგადოების ყველა წევრმა მხარი დაუჭიროს ჩვენს ადმინისტრაციას ამ ბრძანების სისრულეში მისაყვანად.

Горемъ убитые родные Кузьма Терентьевичъ и Антонина Михайловна Басовы съ дѣтьми Ольгой Басовой и Маріей Кузьминишной Колесниковой, зятѣмъ Матвѣемъ Николаевичемъ Колесниковымъ извѣщаютъ друзей и знакомыхъ о безвременной кончинѣ горячо любимаго сына и брата Георгіевскаго кавалера

**Капитана Василя Ивановича ОБРАЗЦОВА.**  
Панихиды ежедневно въ 6 час. на Садовой ул. въ соб. домѣ. Похороны во вторникъ 4 ноября 1919 года въ 3 часа пополудни. 1-1

Горемъ убитые жена Марія Алексѣевна съ дѣтьми Тусей и Толей съ глубокимъ прискорбіемъ извѣщаютъ друзей и знакомыхъ о безвременной кончинѣ дорогого мужа и аща

**Василя (ВАСИ) Иван. Образцова**  
Панихиды ежедневно въ 6 час. веч. на Садовой улицѣ въ соб. домѣ. Похороны во вторникъ 4 ноября 1919 года въ 3 часа пополудни. 1-1

გულდათუთქულნი ალექსი ალექსანდრეს ძე მიქელაძე შეუღლებულ ელუკი ივანეს ასული, შვილები გიორგი და ელენე მენშიკოვისა, სიძე ანატოლი ვიქტორის ძე მენშიკოვი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს გარდაცვალებას მათი უსაყვარესი სიძის გიორგის კავალერის კაპიტანის

**ვასილ ივანეს ძე ობრაზცოვის.**  
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ბაღის ქუჩა საკუთარ სახლში. დაკრძალვის დღე სამშაბათს 4 ნოემბერს ნაშვადლევის 3 საათზე. 1-1

**გეგარბე** ოფიცის განთავის სუფლების მოწმობა ბედრო სამაზრო სამმართველოს მარტის 1919 წელს. მიცემულია რიცხვიდან მოწმობას გაუქვლათ ვახუბად ლეონი ილარიონის ძე მესხი. 1-1

**ღებარბე** პირველი წყალ გაღმა ბაზრის მილიციონერმა პირადობის მოწმობა მიღებულია ამა კომისარიატიდან. დღეის რიცხვიდან მოწმობას გაუქმებულათ ვახუბად ლეონი ილარიონის ძე ყიფიანი 1-1.



